

პრესრელიზი

ამერიკული არაკომერციული ორგანიზაციის BENS-ის დელეგაციის პირველი პირები GIG-ს ბიზნეს გამოცდილებით დაინტერესდნენ

კომპანია GIG-ის ბიზნეს განვითარების ჯგუფის დირექტორატმა აშშ-ის არაკომერციული ორგანიზაციის BENS-ის დელეგაციასთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა საქართველო ამერიკას შორის სავაჭრო, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და ბიზნესსექტორში ორმხრივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობისა და პარტნიორობის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები განიხილეს.

ამერიკული კომპანია, „BENS“-ის ხელმძღვანელები საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ბიზნეს საქმიანობით და სხვადასხვა სფეროში დაგროვილი მუშაობის სტილითა და გამოცდილებითაც დაინტერესდნენ. საუბარი, ასევე, ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოსაც შეეხო.

შეხვედრას ამერიკული მხრიდან BENS-ის დელეგაციაში შემავალი წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ: CEO Borghese-ს პრეზიდენტი, გეორგეტო მოსბაჰერი, Hillwood-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე დერსი ანდერსონი APR Energy-ის თანადამფუძნებელი ჯეფრი სტოუნი. ასევე კომპანიაში შემავალი ამერიკული საბროკერო, საკონსულტაციო და უძრავი ქონების მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელი პირები. ქართული მხრიდან მოლაპარაკებებს GIG-ის ბიზნესის განვითარების დირექტორი გივი ჭაჭია და GIEC- ის გენერალური დირექტორის მოადგილე რევაზ ლლიღვაშვილი აწარმოებდა.

23.07.2014

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

